

2017წ, 27 ივნისი, 17:04, ჰესების მშენებლობის უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე [იხ. ვიდეო]

 obieqtivi.net/news.php

ჰესების მშენებლობის უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე [იხ. ვიდეო]

თარიღი: 2017წ, 27 ივნისი, დრო: 17:04

ყაზბეგის მოსახლეობა 500 კილოვატიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის, -„ქსანი სტეფანწმინდას“ მშენებლობას პროექტის დასაწყისშივე აპროტესტებდა. მიუხედავად არაერთი აქციისა, ხელისუფლებამ პროექტი მაინც არ შეცვალა და მშენებლობა ზუსტად იმ გეგმით დაიწყო, რომელსაც ადგილობრივები სახიფათოდ მიიჩნევენ. მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი რამდენიმე ადგილას მოსახლეობის კუთვნილ ნაკვეთებზე გადადის.



საკითხზე დისკუსია დღეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამართეს და ის რისკები შეაფასეს, რაც 2 მიმდინარე პროექტის ნესკრა ჰესისა და ქსანი-სტეფანწმინდის მშენებლობის შემთხვევაში ყაზბეგსა და სვანეთს ემუქრება. წვანე ალტერნატივაში ამბობენ, რომ დარღვევა რამდენიმე მიმართულებით იკვეთება, ერთ ერთი მთავარი კი გეოლოგიური დასკვნის არარსებობა და გარემოზე მიყენებული ზარალია.

დისკუსიას დღეს სვანეთის მკვიდრებიც დაესწრნენ, რომლებიც პროექტების განხორციელებისთვის ხელის შეშლას ყველა შესაძლო მეოდიტ აპირებენ. მათი განცხადებით ადგილი სადაც ჰესი უნდა აშენდეს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და მისი დატბორვა, თუნდაც ეკონომიკურად მომგებიანი პროექტის განსახორციელებლად- ყოვლად დაუშვებელია.

რატომ არ ხდება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მოსახლეობის აზრის გათვალისწინება- კითხვაზე ენერგეტიკის სამინისტროში დღეს არ გვიპასუხეს.

ყაზბეგში ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა პროექტის მიხედვით შემოდგომაზე უნდა დასრულდეს. ადგილობრივების უმეტესობა მისი ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ საცხოვრებელს დატოვებას, აპირებს, რადგან აქ ცხოვრება მათთვის უსაფრთხო აღარ იქნება. რაც შეეხება ნენსკრა ჰესს, სვანები უფრო რადიკალურები არიან და საკუთარი მთის გადარჩენას სიცოცხლის ფასად აპირებენ.

